მისვლა ბურეს ვახარალებდა. ამისთავის გარს მოუწრა,
რაცა ერთობ განძებდა. ამ ბრძოლაში იბრძოდა მხო-
ლოდ ცხენოსანთა ჯარი. ჩვენ დავკარგეთ 50 კაციმდე.“
ამ კვართ, ორანჟეს მხრით ინგლისელები ძველ
მოსილობით მიადან წინ. რაც შეეხება, ლუდსმიტის
მხარეს, ახ რა ამბები მოვიდა: გელენზო, 20 თებერ-
ვალი. ინგლისელებმა ახდეს ერთობით სიმაგრე ზიტერს-
გილი, რომელსაც ბურები დიდის მხნეობით იცავდენ. ინგლი-
სელებმა შეიპყრეს 100 ტყვე: ტყვეთ არა სჯეროდათ,
რომ ერთნი დასებდა. ერთი მისი მატანის სამი ხა-
თის წინ თხრელებზე ცოლეთი იყვნენ თავის ქრებთან.
ორი მთავარი თხრელებზე იბოიუნეს, ერთი მოკლული, ხო-
ლო მორე მკერდში დაჭრილი, რომელიც დღეს კარდა-
ცვალაო. — 22 თებერვალი: რამბერტს აუწყება, რომ
ბუღერის სიტყვით, სტელის ზრთაყინა სრულით
დატოვებით ბურეს. მათ დატოვეს მხოლოდ რამდ-
ენიმე საკათმყოფო დაჭრილებით და აჯათმოაყვებით. —
24 თებერვალი: ლონდონის გაკითხვაში აუწყებან, ინ-
გლისის მწრაფი ცხენოსანი რაზმი შუადა ტრანსკა-
დაის სახედურებში ზუღუსთა ადგილების მხრით (აღმო-
სავლეთ ჩრდილოეთით). ბურების ერთი რაზმი დაამრ-
ცხეს.

ერთი სიტყვით, ინგლისის მხედრობა ორივე მხრით
აღუას არტემს მტერთა ქვეურებს.



ბ. ლ ა ლ ს.

ქაიხოს ჰკითხეს, ვინ გძოლს ყველაზე უფროგო,
ვინ და ვინც თავს მანასო—მიუღო მან. სწორეთ
ამ ქაიხოს აზვავ სკირთა ზოგ ჩვენ მწერლებს. მო-
გესხენებთ, რომ ამით, 16 იანვარს, განსვენებული
გ. წერეთლის საფლავზე, თავი დაბანეს. ეს, რა-
საკირველია, განსაკუთრებით „ივერიელი“ ემწე-
ვათ და კიდევ მოვლდენ ლობჯორეს: ერთი „ი-
ლატა“ ასე შეგვხობა, მეორე ისეთი, მარა თავის
დაცვა კი მინც უფრ მოახერხეს და ვერა. მხოლოთ
იმის თქმა კი მოასწრეს, რომ ამაზე შემდეგ მოვი-
ლაპარაკებთო და ვნა მუცელში ჩაუვარდათ. ამ
ენა გაკრიფლთ რილასი ლაპარაკი შეეძლოთ და
ხმაც ეამდინეს. მაგრამ, მეორე მხრით, მათი თავის
ბანის ნაშეფთ მოხვედრია „მოამბის“ მთავარმწი-
მელს ბ. ლალს და ამ წლის პირველ ნომერში კი-
დეც გამოილაშქრა, როგორ მკადრეთ შოლტეზიო!
ბ. ლალი სწორეთ მისწრება „ივერიისთვის“,
ძმა მისითვისო, შვიი დღისთვისო—ამაზე ნათქვამი.

„ივერია“ თავისი უხერხული მდგომარეობისაგან დაიხსნა მისმა კლიეკატმა, ბ. ლალიმა; სამაგიეროდ ღირსეულმა კლიენტმა ღირსეულ დაბეჭდვას გასაჩუქდნო. მიართვა, ასწია და ბ. ლალის „რჩეი“ სულ მთლათ ერთიანათ გადმობეჭდა და ბოლოს რალა-რალაყვიტ მიუმატა; აი რა ბიჭები ვართ ჩვენ და ჩვენი ლალია!

ლიახ, შესანიშნავი ვინემ ყოფილა ბ. ლალი! გელოდნებათ მისი ამბები: მას ეამსა შინა ის „ივერიაში“ ებრძოდა, „კაპიტალიზმს“, შემდეგ „ახალ მიმოხილვაში“ გამოცხარჩლა კაპიტალისტებს და ახლა „მოამბეში“ ისევ დაუწყია ბრძოლა... ესთან—ჯერ კარგათ მაინც არ იცის, უთუთო რორკ მოუხდება, ხან მარცხნივ და ხან მარჯვნივ. დღეს—დღესეულობით კი მიხანში „კვალის“ თანაშრომლები და მკითხველები ამოუღლია და დაპკრით მავათაო, ვიძახის. და მერე რატომ ასე ვაგვრის-ხებია ეს ბუმბერაზი? რატომ და როგორ გაუყდა და უკეთ ას რასაც ფიქრბაიით! არ ვაგვეცნოთ და ეს კი ნამდვილათ ასეა. ვიცო, „კვალის“ მკითხველი მისთანა ამბებს ჩვეული არ არის და არ დამიჯერებ; ამისთვის მეც ამოვიყურე ბ. ლალის „რჩეს“; მას ჯერ მოჰყავს ნ. ეორდანიას წერილის ბოლო ტრიქონები გ. წერეთლის შესახებ („კვალი“ № 4) და განავრძობს:

„შუტათ უხერხული (?) სიტყვა ბ. ჟორდანიასი თურქულსადაა mot-d'ordre (!) თუ, რომელად ზედადამოიკის ვარის ეკთ მისცა. უკანასკნელაშუტ საესკით დასრულეს დღეორა ზროგრამა და სსსეფალაზე შეჰმ-ჩქუნებელი (თქვენთვის, არა?) განკაში შეიქმნს. ერთმა გამოაცხადა—შე შენადეოიან (?) გ. წერეთლის წინა-დამდეგით, მეორემ დაჭკოთ ისინი, შესემე შერავლა ურულვა და წველა წარმოსთქვა და ასე crescendo მი-დღედა სკეჰე. სხან ერთმა ზიხადი არ წარმოსთქვა... მიკარს უხეიბას, უტეტკრასს და უსერცხასას მსეულად წარმოადგეს ცაცია“ (გვ. 79).

აი რა ამბები დატრიალებულ! ბ. ლალის აზრით, სიტყვის მთქმელთ დაუგმათ გ. წერეთლის ლიტერატურული მოწინააღმდეგენი და არა სხვა ვინმე. და მერე მართალია ეს? მადლობა ღმერთს, ყველა ეს სიტყვა (გარდა ერთისა, რომელიც სი-დიდის გამო სამგლოვიარო ნიშნებში ვერ მოათავსდა და ახლა სამგლოვიარო წიგნაკში იბეჭდება) დაბე-ჭდილი იყო და თუ მაინც ბ. ლალი თავისას ვაი-ძახის, მას ან არ წაუკითხავს და ისე მსჯელობს, და ან განძრახ ჟორბოს. იმ დღეს დაჭმეს—მხოლოთ პირად ამორჩემბა, ლანძღვა-თრვა და გულღვარ-ძლიანობა და არა ზოლები და აზრთა შეტყავება. ეს ქვეყანამ გაიგო და ნუ თუ ამ ამბავმა „მოამბის“ რედაქციამდის ვერ მიადწია. და მერე ვინ იყო პრე-

სის გათასირების დამგმობელი? ვინ და უმანერე-სათ დაბალი ხალხის წარმომადგენელი. აი რა წერილი მივიღეთ ჩვენ „ივერიაში“ (18 იანვრის) დაბეჭდილი წერილის საპასუხობთ ერთი მათგანიდან:


„... მე მაგალითად, ერთმა წარმომადგენელატაგანმა დასაღი ხალხისმ, ვთქვა სიტყვა და მოვისხენიე, მართა-ღია, ამ წლის „ივერიას“ ზიარულა სიშერა ზი-ხადით. ეს ჩემი წმინდა რწმენა იყო და არის. დახს, ათასჯერად ვაგვიმორე და ვაგვიმორე ჩემთან ერ-თათ ასა ათასი ქართველი მეუს ხალხი ზიარდს „ივე-რიას“ ზიარულ სიშერა დასტამულ საზიხად და ზიხად-დარბისადამ, სვადე ჩვენ საუკეთესო მოლაგწეების ამო-ღეს ლანძღვა-ვინება, დაეშავაეული და დაეცაწვეტიდა უშეკრბა“.

გალები ვასილი კირვალიძე.

აი, ბატონებო, როგორ გულს ეწვის ჩვენი პრესის გათასირება ქართველ მუშა-ხალხს და როცა ამას ის საჯაროდ, შემთხვევის დროს, ამბობს; ვა-მოდის ბ. ლალი და კომპ. და მას უხერხელ და უსირცხვილოდ უწოდებს! ხალხი თურმე უხერხეა იმიტომ, რომ გულწრფელია; ბ. ლალი კი ზნე მა-ღალია, იმიტომ, რომ გულჩახვეულია; ხალხი თურმე უსირცხვილოა, იმიტომ რომ უზრდელობას ებრძვის, ბ. ლალი კი სირცხვილის კაცია, იმიტომ რომ უზრდელობას იფარავს! ერთი სიტყვით, ბ. ლალს და ხალხს შორის დიდი უფსკრულია, ერთი მხრით დგას თვითონ ის თავისი კლიენტებით, მეორე მხრით კი ხალხი. და „კვალი“ სწორით ამაყობს იმით რომ ის არ დგას პრეველთა ბანკეთთ, ის ამაყობს იმით, რომ მან თქვა ის, რასაც ხალ-ხი გრძნობდა, რის თქმა მას სწავდა და 16 იან-ვარს კიდევც გამოთქვა. გრძნობა „კვალის“ თანა-შრომლებისა და ხალხისა ამ დღეს შეერთდა და ვიმეორებ, ამით ვამაყობთ ჩვენ.

დღე, იყოს თქვენი ზნეობა ფარისევლობა, თქვენი ტაქტიკა ზალანდარობის მფარველობა! მაგრამ დღე, ჩვენმა ხალხმა აღერე გაიგოს ეს აღერე შეიტყოს ვინ არის მისკენ და ვინ არის მისი წინა-აღმდეგი...

ახლა, ბ. ლალი, განავრძეთ ისევ ხალხთან ბრძოლა!



საშარტიშელუს მამონიშვილი მფრმამამიშა მისხრ-მეშე საშარტიშვი.

II. მ ც ხ ა გ რ ე ბ ი ა.

(ვაგრძელება*)

შედეგების მცხოვრებთა მოძრაობა. ვანეხილობთ ახ-ლა ამიერ-კავკასიის ქალაქების მცხოვრებთა მო-

* იხ. „კვალი“ № 8.

ძრობა საზოგადოთ და კერძოთ უმთავრეს ქალაქებში. ახალი დროის ერთ უმთავრეს დამახასიეთებელ მოკლენას შეადგენს ქალაქების მცხოვრებთა მომეტებული ზრდა სოფლის მცხოვრებთა ზრდასთან შედარებით. რას წარმოადგენენ ამ მხრით ამიერკავკასიის ქალაქები? მეცხრამეტე საუკუნის დამდევს ამიერ-კავკასიაში ჩვენ ვხედავთ ცოტადღნი დანსხვავებით იმავე ქალაქებს, რომლებიც დღესაც არსებობენ. უმთავრესი იმათგანი არიან: თფილისი, ბაქო, ვანჯა, ქუთაისი, ბათომი, ერევანი, ალექსანდროპოლი, ნუბი, შუშაბა, ახალციხე, სიღნაღი, თელავი, გორი და სხვ. მაგრამ ამასი მომეტებული ნაწილი მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში მხოლოდ ქალაქის სიხელს ატარებდა. მაშინდელი ქალაქები მოკლებული იყვნენ არა თუ მრწველობას, არამედ უმეტეს შემთხვევაში აღენ-მიცემობასაც. ქალაქის ცხოვრება დიდი არაფრით განსხვავდებოდა სოფლის ცხოვრებისაგან. საშუუხაროთ, ამიერ-კავკასიის ქალაქების ისტორია ჯერ კიდევ ნამდვილი terra incognita არის—სრულყოფილ ლეგნობი სავანი: ჩვენ არა თუ არ ვიცით იმათი საზოგადოებრივი დაწყობილება, არამედ მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრამდის არა გვაქვს ცოტათ თუ ბევრათ სარწმუნო ცნობებით იმათ მცხოვრებთა რაოდენობაზე. ვიცით მხოლოდ, რომ მეცხრამეტე საუკუნის დამდევს ითვლებოდა:

- თფილისში (1803 წ.)—20,000¹⁾ სული
- ბაქოში (1809 წ.)—5,007²⁾ —
- ბანჯაში (1804 წ.)—4939³⁾ —
- ამას ვარდა: ვადაშდელ წოდებთა რიცხვი იყო 1806 წელს: ⁴⁾
- თელავში — 1258 სული
- სიღნაღში—1346 —
- გორში — 1144 —
- ანანაურში— 308 —

მხოლოდ 1835 წლიდან შეგვიძლია ცოტათ თუ ბევრათ უფრო დაახლოვებით გავითვალწინოთ ამიერ-კავკასიის ქალაქების მცხოვრებთა მოძრობა. აი ცხრილი ამიერ-კავკასიის ქალაქების მცხოვრებთა მოძრობისა, დაყოფილი გუბერნიებთ.

გუბერნიების სახელები.	წ ლ ე ბ ი			
	1835	1865	1886	1897
თფილისის ⁵⁾	42,370	107,775	131,183	218,242
ქუთაისის ⁶⁾	15,800	29,305	52,626	88,500
ბაქოსი .	—	97,808	139,652	168,566
ერევნის .	—	45,728	57,594	83,332
დანჯის ⁷⁾	—	—	72,994	83,557
დალესტნის	—	24,483	20,599	33,035
ყარსის) .	—	—	8,825	25,983
სულ	—	305,099	483,473	701,215

ეს ცხრილი აი რას გვეუბნება: უკანასკნელი 32 წლის განმავლობაში (1865—1897) ამიერ-კავკასიის ქალაქების მცხოვრებთა რიცხვი 305099 სულიდან ავიდა 701,215 სულამდე, ე. ი. ვაღიდა 129,72⁰/₀; მაშინ როცა იმავე ხნის განმავლობაში ამიერ-კავკასიის მცხოვრებთა საერთო რიცხვი 3.115,164 ავიდა 5.461,911, ე. ი. მოიმატა 75,33⁰/₀. მაშასადამე ქალაქების ასეთი ზრდა იქიდან აიხსნება, რომ ამ უკანასკნელ ხანებში სოფლის ხალხი სულ უფრო-და-უფრო ეტანება ქალაქებს. რომ კიდევ უფრო ნათლად წარმოვივლინოთ ჩვენი ქალაქების მცხოვრებთა მატება, ამითი პროცენტული ზრდა შევეუფაროთ მცხოვრებთა საერთო ზრდას:

- 1865—1897 წლებში ამიერ-კავკასიის მცხოვრებთ უმატათ 75,33⁰/₀ ამასთანავე:
- 1865—1886 წ. მოუმატათ 50,38⁰/₀; წლიურათ 2,44⁰/₀;
- 1886—1897 წ. — 16,29⁰/₀; წლიურათ 1,50⁰/₀;
- ამავე ხანებში ამიერ-კავკასიის ქალაქების მცხოვრებთ უმატათ 129,72⁰/₀ ამასთანავე:
- 1865—1886 წ. მოუმატათ 57,05⁰/₀; წლიურათ 2,17⁰/₀;
- 1886—1897 წ. მოუმატათ 45,40⁰/₀; წლიურათ 4,12⁰/₀;

ამნაირათ, 1865—1886 წლებში ქალაქების მცხოვრებთა რიცხვს მოუმატათ 6,46⁰/₀ მეტი და 1886—1897 წ.წ. კი 28,81⁰/₀ მეტი, ვინც მცხოვრებთა საერთო რიცხვს ამავე ხანებში. ვგრობს რუსეთის ქალაქებთან შედარებით ამიერ-კავკასიის ქალაქებს უმატათ 26,70⁰/₀ მეტი, რადგანაც იქ 1885—1897 წ., ე. ი. 12 წლის განმავლობაში, ქალაქების მცხოვრებთა რიცხვს მოუმატათ მხოლოდ 18,7⁰/₀⁹⁾. ეს ამბავი აშკარათ მოწმობს იმას, რომ

¹⁾ Акты, etc., т. II, стр. 1046. ჩვენ აქ მოგვეყვას ეს ციფრი. თუმცა იგი სავსეოდ მოგანინა, და აი რათა: 1806 წლის აღწერით თფილისში დაახლოვდ წოდებთა რიცხვი შეადგენდა სულ 10.324 (Акты, т. III, стр. 714). ამასში ხელისწილები და ვაჭრები 3921, დანარჩენი სხვა და სხვა კატეგორიის გლეხები. 1811 წლის აღწერით ამავე წოდებთა რიცხვი თფილისში კიდევ ნაკლებია ნახევრები, სახელად 8137 სული (Акты, т. V, стр. 199). ასეა თუ ისე, ის კი აშკარაა, რომ თავისუფალ წოდებთა რიცხვი არას შემთხვევაში იზღერ არ იქნებოდა, რაც ვადაშდელსა, და სწორეთ ამიტომ, ტექსტში მოკვანილ ციფრს 1806 წლისთვის ჩვენ ვადაშდებულათ ვფიქრობ.

²⁾ Акты, etc., т. IV, გვ. 81—2.

³⁾ Акты, etc., т. II, გვ. 599—600.

⁴⁾ Ibid. т. III, გვ. 714.

⁵⁾ 1886 წლამდის ვანიჯით, აქას შემდეგ ზიქათლით.

⁶⁾ 1865 წლიდან სომხეთი და 1886 წლიდან ბათომის ოლქით.

⁷⁾ განხვის გუბერნიათ ცალკეთ დამფრენდა მხოლოდ 1868 წ. (19 თებერვას); იგი შედგენილ იქნა თფილისის და ბაქოს გუბერნიების ნაწილებისაგან.

⁸⁾ ყარსის გუბერნია შემოუერთდა ამიერ-კავკასიას მხოლოდ 1878 წელს.

⁹⁾ გაზ. Рус. Вѣдом. 1898 г. № 60.

ცხოვრება ჩვენ ქალაქებში, მეტადრე ამ უკანასკნელ ხანებში, მომეტებული სიჩქარით იზრდება და ფართო სარბიჭლის ღებულობას. ამასვე გვიმტკიცებს აგრეთვე ქალაქების მცხოვრებთა პროცენტული მონაწილეობა ამიერ-კავკასიის მცხოვრებთა საერთო რაოდენობაში უკანასკნელ 32 წლის განმავლობაში. ამიერ-კავკასიის ქალაქების მცხოვრებთა რაოდენობა შეადგენდა მცხოვრებთა საერთო რიცხვთან შედარებით:

1865 წელს	9,47 ⁰ / ₁₀₀
1886 —	10,32 —
1897 —	12,83 —

მაშასადამე ქალაქების მცხოვრებთა რაოდენობას ამიერ-კავკასიაში უმატია როგორც აბსოლუტურადაც, ისე შედარებითაც: 1865 წელს იმათი რიცხვით შეადგენდა 9,47⁰/₁₀₀ მცხოვრებთა საერთო რიცხვისას, 1897 წელს კი 12,83⁰/₁₀₀ ანუ 3,36⁰/₁₀₀ მეტს. ამ მხრით ამიერ-კავკასიამ თითქმის გაუსწრო ფერაპის რუსეთს, სიდაც 1897 წელს ქალაქების მცხოვრებნი შეადგენდნენ 12,5⁰/₁₀₀ მცხოვრებთა საერთო რიცხვისას.

ახლა გავზინჯათ ქალაქების მცხოვრებთა მობრალბა კერძოდ, ე. ი. ზოგიერთ უმთავრეს ქალაქებში.

ქალაქების სახელები.	წ ლ ე ბ ი			
	1835	1865	1886	1897
თფილისი	25,290 ¹⁰⁾	67,770	78,445 ¹¹⁾	160,645
ბაქო	—	14,715	86,611	112,253
განჯა	16,200	15,081	20,294	33,090
ქუთაისი	2000	11,807 ¹²⁾	22,643	32,492
ერევანი	—	14,070	14,738	29,033
ბათუმი	—	—	14,803	28,512
ალექსანდრ.	—	16,814	24,230	32,018
ახალციხე	13,000	11,617	16,116	15,387
ნუხი	—	—	25,899	24,811
შემახა	—	—	22,139	20,008
შუშა	—	—	26,806	25,656
ყუბლი	—	—	13,917	15,346
ყარსი	—	—	3,939	20,891
ფოთი	—	1039	4,709	7,666
სოხუმში ¹³⁾	—	1612	412	7,809

¹⁰⁾ О. Евцикій. Стат. Оп. etc., გვ. 145.

¹¹⁾ ეს რიცხვი მიღებულია 1886 წლის აწერით, მაგ. რამ იგი შარალად არ არის, რადგანაც ჯერ კიდევ 1876 წელს თფილისის მცხოვრებთა რიცხვი აღივსა ჯარბით, შევირღებლთ და არისტრატეობით 104,924 სულამდის. მეორე მხრით 1891 წელს თფილისში უკვე 145,731 მცხოვრებნი იყო, რაც კიდევ უფრო ამტყუნებს 1886 წლის ცხვენას.

¹²⁾ Сбор. Стат. Свѣд. о Кавказѣ, т. I, 1869 г. ამ წყაროში მოყვანილია ქუთაისზე ორ გვირს ცნობას: ერთი ამბობს, რომ 1864 წ. ქუთაისში ცხოვრობდა 4340 სული,

ამ ცხრილიდან ჩვენ ვხედავთ, რომ ოცდამეათე წლის წინეთ ამიერ-კავკასიაში ერთი ქალაქი არ იყო ასი ათასი მცხოვრებით, დღეს კი ასეთი ქალაქი ორია: თფილისი და ბაქო. სამოცდა ორი წლის განმავლობაში (1835—1897) თფილისში მცხოვრებნი ექვსჯერ გამრავლდნენ, ე. ი. მოიმატეს 535,21⁰/₁₀₀. ბაქოს ზრდა კიდევ უფრო მაშინვე ოცდა ოთრმეტი წლის განმავლობაში (1865—1897) იგი გადიდა 71²/₂ჯერ, ე. ი. მოიმატა 664,2⁰/₁₀₀, არა ნაკლებ თვალსაჩინოა ქუთაისის ზრდაც. მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისის ის უფრო სოფელი იყო, ვინემ ქალაქი. 1835 წელს იქ 2000 სული ძლივს ითვლებოდა, 1897 წელს კი ეს რიცხვი ავიდა 32,492, ე. ი. 16-ჯერ მეტი გახდა; მაშასადამე, 62 წლის განმავლობაში მოიმატა 1524,6⁰/₁₀₀. შესანიშნავია აგრეთვე ერევნის და ბათუმის ზრდა: პირველმა თერამეტი წლის განმავლობაში (1886—1897) მოიმატა 97⁰/₁₀₀, მეორემ იმავე ხანებში 92,61⁰/₁₀₀, ანუ თითქმის ორჯერ მეტი გახდნენ. მეტი ყურადღების ღირსია ყარსი. 1886 წ. იქ მხოლოდ 3939 მცხოვრებნი იყო, თერამეტ წელს შემდეგ, ე. ი. 1897 წელს 20,891, ე. ი. მეტი 430⁰/₁₀₀¹⁴⁾. რა თქმა უნდა, ყველა ქალაქები არ იზრდებიან ასეთი სიჩქარით, მაგ., განჯამ 62 წლის განმავლობაში მხოლოდ 104,2⁰/₁₀₀ მოიმატა. მეორე მხრით არიან ისეთი ქალაქებიც, რომლებშიაც მცხოვრებთა რიცხვი ამ უკანასკნელ ხანებში შეესაძლებათ კლებულობს. ასეთებია, მაგ., ნუხი, შემახა, შუშა და ახალციხე. უკანასკნელი თერამეტი წლის განმავლობაში (1886—1897) პირველმა იკლო 4,18⁰/₁₀₀, მეორემ—9,6⁰/₁₀₀, მესამემ—4,22⁰/₁₀₀ და მეოთხემ—4,5⁰/₁₀₀.

ამ განხილვისაგან ჩვენ ის დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ, რომ საზოგადოათ უფრო იზრდებიან და მატულობენ დასავლეთ ამიერ-კავკასიის ქალაქები, ე. ი. ისინი, რომლებიც გაშენებულია საქართველოში. ამ დასკვნამდის მიყვართ იმ გარე-

ხოლო თუ შევრთვს დავემყარეთ. 1865 წელს ქუთაისში 11,807 მცხოვრებნი იყო. ჩვენ ვლბულობთ ამ უკანასკნელ ციფრს.

¹³⁾ საინტერესოა რამდენიმე პატარა ქალაქების ზრდაც

სახელები.	წ ლ ე ბ ი			
	1835	1865	1886	1897
გორი	3,000	5,054	7,243	10,457
თელავი	2,680	7,240	11,214	11,810
სიღნაღი	3,500	9,687	10,604	8,998
დუშეთი	1,700	2,525	2,027	4,456
ახალქალაქი	—	2,260	4,308	5,443
ოზურგეთი	300	700	1,472	4,694

¹⁴⁾ ცხადია, რომ ყარსის ასეთი გასაოცარი ზრდა ჯარების გამარჯვლებას უნდა მიეწეროს, თორემ სხვა მართი ეს უცვლად შეუძლებელი იქნებოდა ისეთი მიგრაციული ადგილისთვის, როგორიც ყარსია, რომელიც არ არის არც სააღმზრდე და არც სამრეწველო პუნქტი.

მოგებას, რომ ყველა ელემენტებთან შედარებით ქართველების რიცხვი უფრო მატულობს ქალაქებში. სამწუხაროთ ამ საგნის შესახებ მხოლოდ თფილისზე გვაქვს უფრო დაწვრილებითი ცნობები.

თფილისში აყენებ:

	1835 წ.	1865 წ.	1876 წ.	1891 წ.
რუსები	—	12,462	19,574	36,113
ქართველები	4,217	14,878	21,623	38,357
სომხები	18,820 ¹⁴⁾	28,488	37,308	55,553

მაშასადამე მცხოვრებთა საერთო რიცხვთან შედარებით შეადგენდნენ:

	1835	1865	1876	1891
რუსები	—	18,30%	21,85%	24,78%
ქართველები	16,67%	21,85%	24,14%	26,32%
სომხები	74,41%	41,85%	41,64%	38,12%

აქედან ჩვენ ვხედავთ, რომ თფილისის ზრდაში ყველაზე დიდი მონაწილეობა ქართველ ხალხს მიუღია: თფილისში 1835 წელს 4217 ქართველი მცხოვრები იყო, ხოლო 1891 წელს კი 38,357, ე. ი. 56 წლის განმავლობაში ქართველების რიცხვს თფილისში მოუმატია 809,28⁰/₀, მაშინ როცა ამავე ხნის განმავლობაში სომხებს მოუმატათ მხოლოდ 195,18⁰/₀, ე. ი. ქართველებზე 614,30⁰/₀ ნაკლები. იმავე დროს ქართველების პროცენტული მონაწილეობაც თფილისში თანდათან მატულობს: 1835 წელს ქართველები შეადგენდნენ 16,67⁰/₀ თფილისის მცხოვრებთა საერთო რიცხვისას, 1891 წელს კი 26,32⁰/₀; მაშინ როცა სომხები 74,41⁰/₀ 1835 წელს ჩამოხდნენ 38,12⁰/₀ 1891 წელს. ე. ი. ქართველების პროცენტული მონაწილეობა თფილისში გადიდა შეედარებით 9,65⁰/₀, მაშინ როცა სომხებმა შეედარებით დანარჩენ ელემენტებთან იკლეს 36,29⁰/₀. თუ ეს ასე მოხდა თფილისში, სადაც ქართველების გავრავლება თავიდანვე კუდ პირობებში იყო ჩაყენებული, რადგანაც უცხო ელემენტები მას ყველაზე უფრო ეტანებოდა და დღესაც ეტანება,¹⁵⁾ დღილი წარმოსადგენია, რომ საქართველოს დანარჩენ ქალაქების ზრდაში თითქმის მხოლოდ ქართველობა ღებულობდა და იღებს მონაწილეობას. მაშასადამე რამდენათ წინა საუკუნოებში ქართველობა გაურბოდა ქალაქებს,¹⁶⁾ ვაჭრობა-აღებ-მიცემობას და

მრწველობას, იმდენათ მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში იგი სულ უფრო-და-უფრო დაეწაფა ქალაქების ცხოვრებას, იწყა გზის გაკაფვა თანამედროვე საადრე-მიცემა და სამრეწველო სარბიელზე. შეიღო თანამედროვე განათლების კარი და იქ საპატიო ადგილი დაიჭირა ამიერ-კავკასიაში დასახლებულ ერთა შორის.

ფ. მახარაძე
(შემდეგი იქნება)

ჩვენი სიტყვა გამშული ლიტერატურა 1899 წელს.

(დასასრული) *)

მეტო საგულისხმიერო იყო „ველი“-ში ია ეკალაძის „ტყეში“! ამ პატარა სურათში პოეტმა გამოხატა ცხოვრების მიოელი ფილოსოფია, ყველის ფიქრი და გრძნობანი, რომლებიც უფროსან ადამიანს მოხვენებას არ აძლევენ, სულსა და გულს უხუთავენ. პოეტს უნდა, რომ ქვეყნათ მეფობადეს სიმშვიდე, ძმობა, ერთობა, მაგრამ ადამიანთა შორის ის ვერც ერთს ამას ვერ ხედავს: ყოველი ადამიანი თავისთვის ზრუნავს, მარტო საკუთარი ბედნიერების მიხსრუნავს და გზაზე ვინც უნდა შეხედეს, არ დაზოგავს, არ დაინდობს. თუ მისი კეთილდღეობისათვის საჭირო ვახდა სხვისი დაღუპვა, არ ვაიტანს, დაღუპავს. ძალ-მომტრობა, უსამართლობა, სუსტის დაჩავგრა, აი რას ხედავს პოეტი ადამიანთა საზოგადოებაში. აისთანა ადამიანი თითქოს უნდა ეზოზღებოდეს პოეტს, მაგრამ არა, — ძმობა-ერთობის მოტრფიადეს, ქვეყნიური უსამართლობით დატანჯულს ზიზი, სისუღვილი არ შეუძლია: მისი ბუნება ყველასადმი სიბრაღულს ითხოვს. პოეტი გაურბის ადამიანთა საზოგადოებას; მას უნდა ტყეში, მცენარეთა, მხეცთა და ფირიველთა შორის მიიქც ჰპოვოს ის, რასაც ტყუილთა ეძებდა ადამიანთა შორის, მაგრამ თურმე ყველგან, მთელს ბუნებაში, მხოლოდ გამწვავებული ბრძოლა ყოფილა არსებობისათვის, გაუტანლობა, ძალმომტრობა, უსამართლობა. პოეტი ვერსად ჰპოებს ნუგეშს, „თავისუფალთ ნათესაყუდარს“, მაგრამ ის მიიკ და ირტებს გულს: „ბრძოლვე მარადო, ცუბ-

¹⁴⁾ 1835 წლის ცნობები ჩვენ ამოღებული გვაქვს ბ. ვეეკის წიგნიდან. დიუბუას ცნობებით კი 1834 წელს თფილისში 17,834 სომხები იყო.

¹⁵⁾ სომხებს ვარდა უცხო ელემენტების რიცხვმა თფილისში 15 წლის განმავლობაში (1876—1891 წ.) 128⁰/₀ მოიმატა.

¹⁶⁾ ჩვენ ვიცი, რომ 1835 წელს თფილისში 4217 ქართველი იყო (16,67⁰/₀ საერთო რიცხვისა), მეცხრამეტე საუკუნის პირველ წლებში კი ბევრათ ამაზე ნაკლები იყო ქარ-

თველების რიცხვი. რაც შეეხება დანარჩენ ქალაქებს, მაგ., ახალციხეს, გორს, იმაში თითქმის სულ სომხობა იყო (იხ. Dubois de-Montperreux. Voyage autour du Caucase, t. II, p. 263). და შედეგე რაც შეეხება ქუთაისს მეოცე წლებში იქ 1500 მცხოვრები ძლივს იყო; ამაში 800 მარტო ურია იყო, შემდეგ სომხობა და მხოლოდ სულ მცირე ნაწილი იბერლობა (Gamba. Voyage, etc. t. I, p. 170).

*) იხ. „ველი“ № 7.

ნება ის თავის-თავს: „ან ვაჟ-კაცურათ გაიტანე სვე ბოლომდინის, ან შენ ადგილთ, შენ გულის თქმით გაუხილ მსხვერპლათაჲ“. ასეთია დედა-აზრი ამ პატარა სურათისა. ია ვკალაძეს ნაწერებში სვედა და სატირა ერთათ არის შეზავებული, მას მგრძნობიარე გული აქვს, შეუძლია, ამხილოს ჩვენ საზოგადოებას მისი ნაკლულევენება და იმით ჩვენ წაშლელ-ლომას ხელი შეუწყოს. ხოლო ერთი ნაკლი უნდა აიცილოს თავიდან: მას უჟვარი უტრიროვკა და თავისი იდეის გასამართლებლათ ფაქტებისა და პირების ცალ მხრივით დახატვა. ტენდენციის წინააღმდეგი ჩვენ სრულიად არა ვართ; პირიქით ჩვენი აზრით ყოველ ნაწარმოებში ნათლათ უნდა გამოვსვეცივდე დედა აზრი. ხოლო დედა აზრი დამყარებული უნდა იყოს ცხოვრების სინამდვილეზე; როდესაც მწერალი იდეის გასამართლებლათ ფაქტებსა და პირებს ცალ-მხრივით ხატავს და ბევრ ელემენტებს მალავს, ამით ის ამახინჯებს სინამდვილეს და თავის იდეას სუსტ ნიადაგზე აფუძნებს, სიძლიერეს და ნდობას უკარგავს მკითხველის თვალში. აი მხოლოთ ამგვარი ტენდენცია არის პოეზიაში გასაკიცხი. ია ვკალაძეს კი ასეთი ნაკლი ემჩნევა და უნდა მოიცილოს.

სიტყვა კაზმული ლიტერატურით წარსულ წელს ძალიან მდიდარი იყო „მოამბე“. მოამბის ერთი ღირსება იმაში მდგომარეობს, რომ უტოც ტომთა ლიტერატურიდან ძალიან ბევრს თარგმნის, მაგრამ უფრო გარჩევით რომ თარგმნიდეს, მეტ სარგებლობას მოკლავდა ჩვენ საზოგადოებას; მაგ.—ის ხშირათ აცნობს მკითხველებს ისეთ მწერლებს, რომლებსაც ჩვენში კი არა ფერობაშიაც დიდათ არ აფასებენ. ისეთ მწერლებს კი, რომლებსაც ყველგან ღირსეული სახელი აქვსთ მოპოებული, ნაკლებათ თარგმნის,—მაგრამ თარგმანების შესახებ სხვა დროს.

მელანიას „ნავარდობა“-ს დიდი სიხარულით მიეცებეთ, მაგრამ მოლოდინი არ გავვიმართლდა: „ზნელის“ დამწერს მეტი მოვთხოვებოდა. ვარდა იმისა რომ თვით მოთხრობა უფრო ვრცელ კორეზონადეკას წარმოადგენს, ვიდრე ხელოვნურ ნაწარმოებს, ზომიერება სრულებით არ არის დაკუთვლი შივი, ნაწილებს შუა ძალიან სუსტი კავშირია. ავტორს გამოჰყავს სხვა და სხვა პირები, მოგვიყვება მათ ბიოგრაფიას, დაბადებიდან მოკიდებული სიკვდილამდე და, როცა საიქიოს ვაისტუმრებს, ვაოცებული რჩებით და არ გეხმისთ, რისთვის ვაგუცნოთ ისინი ავტორმა. მავალითათა ანათის, მიხას, ჯიდაშვილებს, სანდროს არავითარი მნიშვნელობა არა აქვსთ მოთხრობაში, მთელი პირველი ნაწილი სრულიად უმნიშვნელოა და მეტი. მოთხრობის

უმთავრეს გმირს, „აღალოს“, ავტორი ისეც გავსჯის, რომა მოკლეთ, რომ მთელი პირველი ნაწილი არ დაწერა, მით უმეტეს რომ აღალოს მოქმედება მეორე ნაწილიდან იწყება. სანამ რომელიმე პირს გავვაცნობდეს ავტორი, ბაბუისა და მამის ცხოვრებასა და თავ ვადასავალს დაწვრილებით მოგვიყვება. მართალია მემკვიდრეობა ადამიანის ხასიათში ბევრ რასმე ხსნის, მაგრამ აქედან ხომ ის არ გამოდის, რომ მწერალმა ყოველი მომქმედი პირის აღწერა ადამიდან დაიწყოს? მარტო ყაზარ ყარამანჩის ამბავი ერთ მოთხრობას შეადგენს. რისთვის ილაპარაკა ამდენი ავტორმა ყაზარზე? იმიტომ რომ ყაზარას ქალს, სათინკას, ალალო ირავს? ამგვარი საბუთით თუ იხელმძღვანელო მწერალმა, თქვენი მტერი: მის მოთხრობას დამთავრება არ ეღირსება,—ზოგ მომქმედ პირს ცოლი ეყოლება, ზოგს ნათელი, ზოგს მეგობარი, და სუუველას ისტორიას თუ მოგვიყვა მწერალი, მამები და ბაბუებიც ზედ მიაყლო, სხვა რომ არა იყოსრა ქალდღი შეგვიყვება, და მკითხველის მოთმინებას თუნდა თქვენი ქირი წაუღია. აი სწორეთ ამიტომ გამოვიდა „ნავარდობა“ იმდენათ გაქიანურებული, თორემ ავტორის მიერ აღებული თემა ერთ პატარა მოთხრობას სრულიად ეყოლოდა. იყო დრო, როცა ამგვარი თემა ჯერ ახალი იყო ჩვენში, და ამიტომ მკითხველის ყურადღებებსაც იზიდავდა. საზოგადოებრივი მნიშვნელობაჲ კჲქონდა.—მაგრამ ხომ მოგეხსენებათ: „ოდეს ტურფა გაიადფეს, აღარ ღირდეს არცა ჩირათო“. გ. ერისთავს აქეთ ამგვარი თემა ბრალიანისა და უბრალოს საჩინდრიკოა შეიქნა და ნუ თუ მთელ ნახევარ საუკუნის განმავლობაში ამ აღარ დაძებდა ან ევლარ შეიგნო ის მკითხველმა? ჩვენი არისტოკრატრა რომ ღარიბდება და მისი ქონების გვარიანი ნაწილი სომხის ბურჯუაზიის ხელში გადადის, ეს დიდი ხანია ყველამ იცის, მაგრამ საქმე მიზეზის გამოორკვევა არის. ყურადღების ღირსი ღდეს მხოლოთ ეს მიზეზია და არა მისი ძახილი: სომხები ქართველებს ყელვადყვნო. მელანიას კი ამ მიზეზის გამოორკვევისათვის ყურთ არ უთხოვებია და ჩვენ თვალწინ კახეთის თავადობას სომხებს აფექქენიეებს. რატომ აფექქენიენებს თავს ჩვენი თავადობა? რა ატანს მას ძალას? ასეთ კითხვებზე მელანია არავითარ პასუხს არ იძლევა, თითქოს სომხები რომ არ განენილიყვნენ, ჩვენი თავადობა ქონების არ გაფლანგავდა? ვინ ამბობს,—ფრიად კლასიციზია სომხეთა ჩარჩები-სა და სირაჯების სხვა და სხვა უპატონისრა მოქმედება, მაგრამ სომხის მავიერ რა ტომის ვაჲრობაც უნდა ყოველიყო, ჩვენი თავადობა მიანც შევაქმვედა თავის საცხოვრებელს. ამის მიზეზი თვით

დღევანდელი ცხოვრების პირობებია და არა სომხის ბუნება; სომხობა მხოლოდ უბრალო იარაღი იყო და არის ცხოვრების ხელში. ყოველივე ეს „ნაფარდობა“-ში უბრალოდაც არ არის გამოჩეკული. ამხელა მოთხრობის ჯერ დაწერა და მერე წაკითხვა მხოლოდ იმიტომ, რომ გაიგო, როგორ ვადრის ჩვენი არისტოკრატიის ცხოვრება სომეხთა ვაჭრების ხელში, დღეს უმაქნისო დროს დაეარვათ მიგვიანია.

ეს მეორე წელიწადია. მოამბეში იბეჭდება ს. მგალობლიშვილის ვრცელი მოთხრობა, მაგრამ სამწუხაროდ რედაქციამ ძალიან გამოიზოგა და მოთხრობის მესამე ნაწილი მესამე წელიწადში გადაიტანა. ამიტომ ვეცდებით, მკითხველს მაშინ დავანახოთ ამ მოთხრობის დირსება-ნაკლულევენება, როცა ის დამთავრდება.

ამით ვთავაზობ წარსული წლის სიტყვა კაზმული ლიტერატურის განხილვას.

ივ. გომართელი.

რედაქტორ.—გამომცემელი ან. თ.—წერეთლის.

„**ქ ვ ა ლ ი**“

№ II

გამოვიდა და დაურთვდა ეკვალ ხელის-
მოძწერლებს.

თფილისის ძალაქის გამოცემა ამით ახსნადებს, რომ მის თანადასწრებით, შუადღის 12 საათზე, 29 თებერვალს, დანიშნულია ვაჭრობა, რომლითაც გაიცემა იჯარით გაცემება მილისა, არსებულ მილიდან, ვორონკოვის ძველთან, ნაბერევის და სემენოვის ქუჩებზე-მდინარე მტკვრამდე, სიგრძით 157 საყენამდე, 4600 მანეთისა. მილის გაცემება შეიძლება ნაწილ-ნაწილათაც, არა ნაკლებ 50 საყენისა. ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს ვაჭრობაში შეუძლიან განიხილოს დაწერილებითი პირობები გამგეობის ამშენებელ განყოფილებაში, ყოველ დღე, კვირა-უქმებებს გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევს 2 საათამდე.

ქაეთაისის საუბრითივეთო კაბილინის სპეციალური მისი გამოცემა

ზატეისი ცემით განაცხადებს, რომ ამ მარტის ოდეს ჩქეს სდადამის შუად საათზე, დანიშნულია ამ საზოგადოების წევრთა სხვაგვარად კრება.

ამ კრების განსრულებით დანიშნულია შემდეგი საქმეები:

1) განხილვა და დამტკიცება ანკარისის საზოგადოების დაკრებიტზე წარსულის 1899 წლის განმარტობაში და დამტკიცება მონაგების განაწილებისა.

2) დანიშნა რიგის და ზომის ამ განსმრუტოლსათვის, რომელიც უნდა მიეცეს მმართველობაში თანამდებობის ზნათა.

3) განხილვა და დამტკიცება სარეთ-ადრინცის 1900 წლისთვის.

4) მოხსენება გამგეობის საზოგადოების ახალ შემოსახე და მახე დანახარჯის აღრიცხვა.

და 5) რჩევა წესდების თანახმად გამომავალი მაგეორის: ორი რჩევის დებუტატის, გამგეობის დირექტორის და აგრეთვე სარეგულირო კომისიის წევრების და ამ უკანასკნელთა კანდიდატების და სხვა თანამდებობის ზნათა, თუ რომ ეს საჭირო აღმოჩნდა.

როგორც წერილები, ისე ვეჭვობებთა უნდა მიუყვადეს საზოგადოების გამგეობას კრებადის სმამ დღის წიხთ.

სამოლიციტო, სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატი-ბიანი გამეოთ

„**ქ ვ ა ლ ი**“

გამოვა 1900 წელსაც ყოველ კვირაში ერთხელ ერთიდან სამ თანახმადე

ნიკაპე პროზარით —**ოგოგოც 1899 წელს.**

რედაქციისაგან: ახალა წელადან „გვლას“ მიემატება პროზარმაის ეკვალ განყოფილეკეობა, რისთვისაც მუდგა მუდმაგ თანამშრომელთა წრე.

გაცეოთა წადურათ დინს გუტეზაგულათ 7 მანეთათ, ხლო გუტეზაგულათ 8 მან. ნახეკირი წლით გუტეზაგულათ 3 მან. 50 კაპ.; გუტეზაგულათ 4 მან. სამი თვით გუტეზაგულათ 2 მანეთ.; გუტეზაგულათ 2 მ. 50 კ. თათა ნომეოთა სამ შუარათ, ხელის მოძწერლებს წლის ფული შეუტლიათ ნაწილ-ნაწილათ გამოცეზაგულათ.

ხელის მოწერა მიადება თფილისში „წერა-კათესის საზოგადოების კანცელარიაში“ (*Даровная у.п. ბ. ვ.მ. ბანკი № 101*) და თვით „გვლის“ რედაქციაში არტლეკრაის ქუჩა, № 5, კონსუსის ახლო.

ფოსტის ადრესი: *Тифлисс Редакция „КВАЛИ“*